ცნობისმოყვარეობა და თვითეფექტურობა მოზარდებთან.

გიორგი ჯგერენაია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: განათლების ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მაია წერეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

03.06.2025

აბსტრაქტი

მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს დაადგინოს კავშირი თვითეფექტურობასა და ცნობისმოყვარეობას შორის მოზარდებში. ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტურ თეორიასა და ტოდ კაშდანის მრავალგანზომილებიან ცნობისმოყვარეობის მოდელზე დაყრდნობით, კვლევის მიზანს წარმოადგენს დადგინდეს კორელაციური კავშირი და არის თუ არა ცნობისმოყვარეობის თითოეული განზომილება მოზარდებში თვითეფექტურობის პრედიქტორი.

კვლევაში გამოყენებული იყო რაოდენობრივი კვლევის დიზაინი და მასში მონაწილეობდა 101 13-დან 17 წლამდე ასაკის მოზარდი, როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებიდან საქართველოს მასშტაბით. კვლევაში გამოყენებულია ორი სტანდარტიზებული თვითადმინისტრირებული ინსტრუმენტი: ხუთ განზომილებიანი ცნობისმოყვარეობის სკალა (Kashdan et al.) და ზოგადი თვითეფექტურობის სკალა (Schwarzer & Jerusalem). მონაცემები დამუშავდა პირსონის კორელაციისა და მრავლობითი რეგრესიული ანალიზის მეშვეობით.

შედეგებმა აჩვენა, რომ ცნობისმოყვარეობის ორი განზომილება - ძიების სიხარული და მძაფრი შთაბეჭდილებების ძიება - თვითეფექტურობის ზომიერი და სტატისტიკურად მნიშვნელოვანი პრედიქტორია. ინფორმაციის ნაკლებობისადმი მგრძნობელობა და სოციალური ცნობისმოყვარეობა დადებითად კორელირებს თვითეფექტურობასთან, მაგრამ მათი პრედიქციის მაჩვენებელი სუსტია. სტრესისადმი ტოლერანტობამ თვითეფექტურობასთან მნიშვნელოვანი კავშირი არ აჩვენა, როგორც კორელაციის კუთხით, ასევე, როგორც პრედიქტორმა.

შედეგები ნაწილობრივ ადასტურებს კვლევის ჰიპოთეზებს, ცნობისმოყვარეობის მხოლოდ რამდენიმე განზომილება კორელირებს თვითეფექტურობასთან და წარმოადგენს მოცემული შედეგის ცვლადის პრედიქტორს.

მომავალმა კვლევებმა უნდა მოიცვას კვლევის ლონგიტიდური დიზაინი და მეტად მრავალფეროვანი პოპულაცია, რათა უფრო კონკრეტული პასუხები გვქონდეს მოზარდობის ასაკში ცნობისმოყვარეობასა და თვითეფექტურობას შორის კავშირის შესახებ.

საკვანძო სიტყვები: თვითეფექტურობა, ცნობისმოყვარეობა, მოზარდები, ხუთგანზომილებიანი ცნობისმოყვარეობა.

Abstract

The purpose of this study is to determine the relationship between self-efficacy and curiosity in adolescents. Based on Albert Bandura's social-cognitive theory and Todd Kashdan's multidimensional curiosity model, the purpose of the study is to determine the correlational relationship and whether each dimension of curiosity is a predictor of self-efficacy in adolescents.

The study used a quantitative research design and included 101 adolescents aged 13 to 17 years old from both public and private schools across Georgia. The study used two standardized self-administered instruments: the Five-Dimensional Curiosity Scale (Kashdan et al.) and the General Self-Efficacy Scale (Schwarzer & Jerusalem). The data were processed using Pearson correlation and multiple regression analysis.

The results showed that two dimensions of curiosity - the joyous exploration and the thrill seeking - are moderate and statistically significant predictors of self-efficacy. Deprivation sensitivity and social curiosity are positively correlated with self-efficacy, but their predictive value is weak. Stress tolerance did not show a significant relationship with self-efficacy, both in terms of correlation and as a predictor.

The results partially confirm the hypotheses of the study; only several dimensions of curiosity are correlated with self-efficacy and are predictors of this variable.

Future studies should include a longitudinal study design and a more diverse population to have more concrete answers about the relationship between curiosity and self-efficacy in adolescence.

Keywords: Self-efficacy, Curiosity, Adolescents, Five-Dimensional Curiosity.

მადლობა

პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს მაია წერეთელს კვლევის განმავლობაში ფასდაუდებელი რჩევებისთვის და მხარდაჭერისთვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო სალომე ჯგერენაიას და რატი ღარიბაშვილს ემოციური და ლოჯისტიკური კუთხით დახმარებისთვის.

და ბოლოს, მადლიერი ვარ იმ ადამიანებით, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩემს კვლევაში. მათი ჩართულობის და გულახდილობის გარეშე კვლევითი პროცესი შეუძლებელი იქნებოდა.